

სოციალ-დემოკრატიული პარტია

„მომავალი“

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა
საბჭოთა დირიჟორი: როგორც თფილისში ისე თფილისის გარეთ ერთი წლით 7 მან.; ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისის გარეთ 1 მან. 80 კ. თფილისში 80 კ., თფილისის გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება თითოეული სტრიქონის 5 კაპ.—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბუქი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დღის 9 ს. ნაშუადღი 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დღის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
ფული სავალდებულოა და არის:
თფილისი, თიბ. „შრომა“, კალისტრატე კონსტ. ცულაძე.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობაარო განყოფილებით. დია ანის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავთომოფთათვის.
ქსენივის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, მშობიარო სახლი, ტელეფონი № 590.
დაბაზიანი 8. ღინჯან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
გაღვიძანებული 8. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10¹/₂—11.
გუგუნი 8. ბ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
ტიპიკი 8. ბ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
პარალიტიკი 8. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2¹/₂—3¹/₂ ს.
გაღვიძანებული 8. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.
მანკატიკი 8. ბ. შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.
სამკურნალო აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ვ. გ. ფედოროვი. (100—40)
ჩრდეთ ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონიზაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

სამკურნალო მოსიარულე ავთომოფთათვის. ვოგზლის ქ. № 8; ს. ენფინჯინანისა (ტელეფონი 695)
მ. ბ. მანკატიკი კბილის ავთომ. ყოველ დღე 10—11 ს.
მ. ბ. გოგარატიკი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავთომ.
მ. ბ. დიანატიკი: ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავთომ.
მ. ბ. მ. მალიკიტიკი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქურთუგ. ავთომ.
მ. ბ. ბ. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავთომ. (100—40)

წარმოდგენა 17. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 17.
ხუთშაბათს, 19 ნოემბერს 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ პიესა ალ. სუმბათაშვილისა

ბორკილი

დრამა 4 მოქმ. თარგ. ანხაროვასა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილებს ფასი: ლოკები 10 მ. 50 კაპ.—დან 5 მ.—დღე, პარტები 2 მ. 50 კაპ. 60 კაპ.—დღე, გალერეა 40 კაპ.—დან 20 კაპ.—დღე, მოწვევითათვის 40 კაპ.
დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.
რეჟისორის თანაშემწე მ. შარუშაძე.
მორიგი რეჟისორი მ. მახვი.
დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

მკერებელი ქალი

ვღებულსა საკერაებს: ქალებისა და ბავშვების ტანისა-ძონს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულს.
ადრესი: კირპანის ქუჩა, № 2.

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუ-წიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპროსებს:
„Дружба“ 20 ცალი 5 კაპიკი
И Товарищъ
ყოველ დღე იყიდება 200.00 ცალი.
იყიდება ყველგან.
თამბაქოს ქარხანა ნ. ი. ბოსარჯიანისა შეიღებთ.
10—3

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 9.
(დირექცია ამო-ხარაზინი)
უბაბათს, 21 ნოემბერს, 1909 წ.

აქსანისხვით იმას, რომ წყის შესრულად 30 წელიწადი მას შემდეგ რაც ავლაბრის თეატრის დასწერა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“

ავლაბრის ქართული წარმოდგენების მმართველი ამა—ბა ნ. ბაბუნიანი-ცაბარდინი და ს. სიმონ-ნიძის მონაწილეობით გამართავს საინტელიგენტო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება
რაც გინახავს ვეღარ ნახავ
კომედია 3 მოქმ. ავტ. ცაგარლისა.
წარმოდგენის დასრულების შემდეგ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილებს ფასი 10 კაპ.—დან 80 კაპ.—მდე.
რეჟისორი ს. სვიმონიძე გამგე თ. ნახიძე

თფილისის სასახლის თეატრი
საოპერა ანს. ანტონ ვიხენვალდის გამ-გეობით დღეს 1) ა. გლაზუნოვის „მონაწილეობენ ბანი: ლანტურევიჩი ო. ი., ნოვაკოვსკი მ. ს. 2) ჯაკოპო პუჩინის M-me ბაბტინი-ფლინი. ოპ. 3 მოქმ. მონაწილეობენ ქ-ნნი: არლი, ელგინა, ფერარა, შელიგინა; ბ-ნნი: დემი-ნენკო, ევლახოვი, კორნარევი, მოხალოვი, პეკოვი, ტრაკიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასრულება 10 საათზე. ვინაიდან „ბანი“ გენერალური რეპერტი-ტია. შაბათს, 21 ნოემბერს სპეციალური გზით პირველად თფილისში. მასსენეს „ბანი“.

ქ. გათუგუნი
ავჯეულობის და ჭურჭლეულობის
მალაზია
პ. ა. მუჭურაძის და პ. ა. ჭიუჭიულისა
ღონდუკოვკორსაკოვის ქუჩა 21.
მალაზია-ლიდის არეპით ყოველგვარი, ფარფრის, ფაინის, ენალის და ში მუდამ არის ნიკელის ჭურჭელი, სახლგარ-გარეთული და რუ-სეთის ლამაზები, ბროლისა და შუშის ნაწარმობები, ყოველნაირი საილენძის და ნიკელის სამაგრიები, ბრინჯაოს ნაწარმობები, ნეთისა და თუჯის ფეხები, საშარეულოს და სტო-ლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთიულობა. „ლინოლეუ-მები“, „კლინკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრა-ტები ინგლისის და ვარშუის ფაბრიკებისა, საყინულეები, საჩურები და მატერები ავეჯისთვის. მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე სახლგარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდა-პირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალკეობით. **ფასები ხელმისაწვდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატრენული საზოგადოება, როცა ჩვენს მა-ლაზიაში ივატრებს. (0—5—1)

დ. ქიათურაში ძბილის მძიმი
ქ. ტ. ლორის-მელიქოვი
ღებულობს ავთომოფთებს დღის 10—2 საათამდე და ნაშუადღეის 4 საათიდან 8 საათამდე.
ადრესი: გ. გაჩეილოძის სახლი, ვოგზ-ლის ახლო.

კბილის ექიმი
ს. ვაშაქაძე
ღილით მიიღება ავთომოფთები 11 საა-თიდან 2 საათამდე. საღამოს 5—7 ვე-რის ღამრათი სახ. 15.

გათუგუნი
რკინის გზის მკაფი
გაღვიძა ჩემ ხელში, ამიტომ ვაც-ხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირ ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმობის, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქა-ლაქის ეურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ლია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებ-ზე და გაზეთებში დასაბუქი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლოვ იქნება ასრულებული. ვინც ჩემთან თვიუ-რათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა სა-ქიროა გამოწერა—შეწყვეტის ღირს ერთი კვირით ადრე განცხადება.
შეუიღა ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.
(10—2) გამგე გიორგი მახარაძე.

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტუხია
ღიღებს ავთომოფთებს დღით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავეკლის № 71 (კირპანის ქუჩის ახლოს).

საინტერესო
გამოგონება
მაქს რამდენიმე გამოგონებანი, რომლებზედაც 16 წელიწადი ვემუშაო და ეხლა მსურს გავაკეთო ერთი მათგან-ს „მოდელი“, სახელდობრ მანქანის მფრინავი ელექტრონის გემი, პეტერ-ბურგის მანქანის საფრენ მანქანათა სამ-ხედრო პარკი“ წარსადგენათ, რის საშ-ვალედა მე არა მაქვს, ამიტომ მივმარ-თავ დაინტერესებულ პირთ დამეხმარ-რონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმავყვანიონ. მოდელის გაკეთება დაჯ-ღება 300 მანეთამდე, გაკეთდება ორი თვის განმავლობაში.

ავტომობილები
ვისაც სურს შევიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავ-ტომობილი, ლანდო, კარეგა, კალიასკა, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ სა-ბირეთთ.
ეტლი 5 ან 12 ალაკანა და სხვა და სხვა მოგმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Ben-dianise, Automobilfabrik „AJax“ A. G. Hirschengraben, 80 „Zurich“.
რადგან ამ ცნობაზე ფაბრიკაში ვემუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდებო.
დამატებითი ცნობები ამოავალისა რე-დაქციაში.
ბენდინიძე. (0—13)

დეკაუზი

(პეტერბურგის დემუშათა სააგენტოსაგან)
18 ნოემბერი.
საბარსითი.
თფილისი. შესდგა კაბინეტი, რომელ-შიაც დარჩენ სეპტემბერი და სერდარ-ასალი, იუსტიციის მინისტრათ დაინიშნა მუნირულ-დოლუე, ფინანსთა მინისტრათ — ვსუჟკულ-დოლუე.

საზღვარ-გარეთი
ლონდონი. ლორდთა პალატა. საფი-ნანსო ბილლის განხილვის გაგრძობის დროს სიტყვები წარმოსთქვეს მორლიემ, როტშილდმა, სეოტლინგმა და გირფორ-დმა, ლენსლოუენის რეზოლიუციის წინაა-ღმდეგ.

ბერლინი. სასახლის თეთრ დარბაზში დღის ამბით გაიხსნა რეისტაგი. იმპე-რატორმა წაიკითხა სეფე სიტყვა.

პარიზი. დიდ საოპერო თეატრში, ფა-უსტის წარმოდგენის დროს, რომელსაც პორტუგალიის მეფე დაესწრო, ელექ-ტრო-ტენიკი მუშათა სინდიკატმა წარუ-დგინა აღმინისტრაციის მოთხოვნა სამუ-შაო ქირის მომატების შესახებ. წინააღ-მდეგ შემთხვევაში დაემუქრენ ელექტრონს ჩავაქრობათ. მოთხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეს.

სიღნეი. საკანონმდებლო კრებაზე სა-ზოგადო სასაშუალო მინისტრმა განაცხა-და მინისტრ-პრეზიდენტის სახელით, რომ უკეთეს უთანხმოება არ გათავდა, მთავ-რობამ გადასწყვიტა ჩაერიოს საშუაო მუ-შათა გაფიცვაში. ამ შემთხვევაში იხელ-მძღვანელებენ არსებული სისხლის სამარ-ბლის კანონებით.

ათინა. ტიპალდოსის ამხანაგები ნა-ფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასკეს.
ბერლინი. სეფე სიტყვაში მეფემ აღ-ნიშნა, რომ სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა განტკიცებულ უნდა იქ-ნას ახალი შემოსავლის წყაროების აღ-მოჩენით, რომელზედაც უკანასკნელმა სესიამ მიუთითა. მეფემ აღნიშნა ახალშე-ნების განვითარება. სურველი გამოსთქვა კანონ-პროექტი იქნას შემუშავებული ინგლისთან სავაქრო ხელშეკრულობის გაგრძელების შესახებ 2 წლით, აღნიშნა აგრეთვე აუცილებელი საჭიროება პორ-ტუგალიასთან სავაქრო ხელშეკრულობის დადების შესახებ. სიტყვას მეფე ასე ათა-ევებს: მე დარწმუნებული ვარ, რომ მე-ზობელ სახელმწიფოებთან დაკავებული კავშირი საკეთილდღეო იქნება როგორც ჩვენთვის, აგრეთვე მოკავშირე სახელ-მწიფოებისთვისაც.

რუსეთი.
დუელი გუჩკოვ-უფაროვის შორის.
პეტერბურგი. დღის ორ საათზე სტროი დერეგზე და ლარტის შუა მოხდა დუ-მის წვერ გუჩკოვის და გრაფ უაროვის შორის დუელი. სეკუნდანტებთ იყვნენ: გრ. ოლუსფიევი, ლეოვი მეორე, კრუ-პენსკი და ბარონი მეიენდორფი. ესრო-ლეს ერთმანეთს 25 ფეხს ნაბიჯზე. დი-ქრა გრ. უფაროვი. ტყვია მარჯვენა ბე-ქის ფრთას მოხვდა. გუჩკოვი უვნებლოთ გადაარჩა.

პეტერბურგი. ქალაქის საბჭოს არჩე-ვენებზე აირჩიეს 11 ხმოსანი მძველი დუ-მის პარტიის და 43 განახლების პარ-ტიის. მათ შორის სავაქრო სამინისტროს გამგე ფედოროვი, ეურნალისტი პილენ-კო, მახრის თავად-ანხაროთა წინააღ-ღი მუბინ-პოზდნევი, ნაფუცი მსაჯული ლაუსტაგი, დეპარტამენტის ობერ-პრო-კურორი ტიტურთუოვი და პროფესო-რი ეკუზინ-კარაგაევი.

ეკატერინოსლავი. სოფ. ამურში ებ-რალის ბინაზე იპოვნეს ორი ფიტილია-ნი ყუმბარა.

ნოვოროსიისკი. სადგურ კრიმსკოიზე საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაე-ჯახა. დიმიტრა ექვის ვაგონი, დაზარალ-და 14, დაიჭრა სამი კონდუქტორი: ორი მძიმე და ერთი მსუბუქით.

პეტერბურგი. 16 ნოემბერის კრებაზე დაკერილი და შემდეგ განთავისუფლებუ-ლი სახელმწიფო დუმის წევრი ს. დემო-

კრტი პრედკალი იმყოფებოდა საღამოს კურსების ერთ-ერთ ოთახში, სადაც მუშები იყვნენ შეკრებილი ალკოგოლის წინააღმდეგ სიგზზე.

პეტერბურგი. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში განზარაბა აქეთ შეადგინონ განსაკუთრებული კომისია, დინტერესებულ უწყებების მონაწილეობით. კომისიამ უნდა შეიმუშაოს კითხვა, გაიხსნას კრისის გზის ყველა სადგურებზე საფოსტო განყოფილებები.

ადესა. სპარსეთის ელჩმა ზოინგენკომ ორჯერ მუქარის წერილი მიიღო, რომლითაც მოითხოვდნენ შეიდი ათას მანეთს ანარქისტ-კომუნისტების სასარგებლოთ. პოლიციამ ორი ანარქისტ-კომუნისტი დაატყუა.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე განიხილა ნაციონალისტთა ფრაქციის გაქცევა—აგრძელოს კორესპონდენტ ლიტოვცევის დუმის კრებებზე დასწრება ვახუთ „რეზიმი“ წერილის მოთხოვნების გამო, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს რუსეთის ნაციონალურ გავლეს. თავმჯდომარე არ დაეკავიფოლა გავლეს მოთხოვნა, რადგან უმადლოესად დამტკიცებულ წესებით, ბექდვითი სიტყვის წარმოდგენილეს მხოლოდ მაშინ ეკრძალებათ კრებებზე დასწრება, უკეთესი ვინმეს მოქმედებით მიაცენებენ შეურაცხყოფას.

პეტერბურგი. წინისწარ დატუსაღების სახლში თავი ჩამოიხრჩო სტ. კონსტანტინე გილვენიჩმა. მას პარალს სდებენ ლეშტუკოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში მონაწილეობისა.

პეტერბურგი. მოწაფეთა მიღების წესდების დარღვევისათვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადესაში დახურა ბარანის და ფერუსის მისაფის სკოლა.

სევასტოპოლი. „პატრიოტის“ უფროს და ორ მებრძოლს 1905 წელს აჯანყებაში მონაწილეობისათვის სახმედრობა-საზღვრო სასამართლომ სამი წლის ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტა.

მოსკოვი. გაიხსნა სრულიად რუსეთის მონადირეთა სიგზი, რომელზედაც წარმომადგენელნი ესწრებიან რუსეთის ყოველი მხრიდან. სიგზმა მოისმინა მონადირეთა საზოგადოებების მისაღმებანი.

პეტერბურგი. მთავრობამ ცირკულიარი შეიმუშავა, რომლითაც უცხო ქვეყნებში მყოფი რუსეთის ელჩებს ევალებათ თვალყური ადევნონ საზღვარ-გარეთ გამართულ გამოფენებს, რომელსაც რუსეთის მრეწველობისათვის მნიშვნელობა ექნება, შეკრიბონ საჭირო ცნობები და რუსეთის მრეწველებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროში კითხვა აღიძრა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სომეხ-კათოლიკეთა საეკლესიო მართებლობის თუ ორგანიზაციის შესახებ. კითხვის განხილვაში მონაწილეობას იღებს სომეხ-კათოლიკეთა

მრეწველების მმართველი ტერ-აბრამიანი. **მოსკოვი.** სრულიად რუსეთის მონადირეთა სიგზზე თავმჯდომარეობის დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე.

ნახიჩევანი. მაკინის სახანოში არეულობაა. ნათესავების მიერ მოკლულ იქნა ქალაქ მაკუს პოლიცმეისტერი იხატულა—და ხანი.

სოფელ შახმასულდში პარტიულ ნადავზე რამდენიმე ტყვიით მოკლეს სასწავლებლის ზედამხედველი მიხეილ ისაკოვი.

ხ ა ლ ე რ ა . **პეტერბურგი.** ავთ არავინ გამხდარა. ავთ არას 54.

ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო მ ო ვ ლ ე ნ ა
(დასარული)

საფრანგეთში ყოველწლიური დეფიციტი ამ ბოლო ხანებში ღირდა 90 მილიონ მარკას, ხოლო 1910 წელში მოვიდა 200 მილ. მარ. დეფიციტს. მთავრობას სახეში აქვს შემოიღოს ახალი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მით დეფიციტი დაფაროს.

ინგლისში 1907/8 წელს შემოსავალმა გადაჭარბა გასავალს 4,7 მილიონი გირანგაქა სტერლინგით, მარა 1908/9 წელს ახალი ხარჯების გამო, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია ფლოტის გაძლიერებით, დეფიციტი უღრდა 714 ათას გირანგაქა სტერლინგს, ხოლო 1909/10 წელს მოსალოდნელია ხარჯებმა შემოსავალს გადაამეტოს 15,7 მილიონი გირანგაქა სტერლინგით. მთავრობა აქაც იძულებულია ეძიოს შემოსავლის ახალი წყაროები. ქვედა პალატამ ამ დღეებში უკვე მიიღო ახალი კანონი შემოსავალზე გადასახადების დადების შესახებ, რომლებიც უნდა გაიღოს ლორდებმა. ეს გარემოება, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცინ, მთელ აურ-ზაურს იწვევს ლორდების ბანაკში, რასაც შეიძლება მოყვეს ამათ მიერ კანონის უარყოფა.

ასეთია ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა ფინანსური მდგომარეობა. პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობა უარესი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უკეთესი მანაც არ არის.

როგორც მკითხველი ხედავს, სახელმწიფოთა დავალიანება ჩვეულებრივ მოვლენაა გამხდარა. არც ერთ სახელმწიფოში არა ფარავს შემოსავალი გასავალს, თუმცა ყველგან გადასახადები დღითიდღე იზრდება, მარა მასთან ერთად იზრდება სახელმწიფო ხარჯებიც. ეს პროცესი არა თუ შეჩერდება, პირიქით, იგი მომავალში კიდევ უფრო გამძლეული ნაბიჯით წავა წინ.

მეორე საყურადღებო მხარე მოყვანილი ციფრებისა იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოების მთავრობა ახალი წყაროების შეძენაში იკამდის მივიდა, რომ შეუძლებელი ხდება მეტის აღება ლარბი ხალხისაგან და გაკორტებას რომ თავი დააღწიოს, ისიც

იძულებულია შეეხოს, თუმცა დიდის მოკრძალებით, შემსუბუქებისა და კაპიტალიზმის ჯიბეს. აქ იწყება მთავრობის ტრადიციული მდგომარეობა. გაბატონებული კლასები ურჩობენ, მათ არ სურთ სახელმწიფოს სასარგებლოთ საკუთარ ჯიბეს ზიანი მიაცენონ, ხოლო ლარბი ხალხის ხელახალი დაბეგვრა ითვლება შეუძლებელი ხდება, რადგან არა აქვთ შეიძლებოდა, იგი უკვე აღდეს მათგან. ამ ნადავზე ხდება მთავრობასა და გაბატონებულ კლასებს შორის შეტაკება. მთავრობა იცავს მათ ინტერესებს და ამისათვის მათ ხელს უწყობს დახმარებისათვის, მარა ამ უკანასკნელთ ყველაფრის გაკეთება სურთ სხვისი ხარჯით. დაადგე გადასახადი უცხოელს, ე. ი. შემოღებ საავტო სისტემა—გუნებნიან მთავრობას ინგლისის ლორდები, როცა მთავრობა ცდილობს ე. წ. დამუშავებულ შემოსავალზე გადასახადების დადებას. მიუხედავად გადასახადების ხალხს და არა ჩვენ—ტურბანებენ გერმანიის იუნკრები თავის მთავრობას და თავმდ კანცლერს, რომელმაც გაბნეა რეისტრაციის კანონპროექტის შეტანა მემწიფრებობაზე გადასახადი დაწესების შესახებ, უკანა კარებისაკენ უჩვენებენ.

რამ ააღლევა მთავრობის წინააღმდეგ ეს დღემდე მთავრობის ერთგული დამცველები? შეიძლება იმან, რომ მთავრობამ შესცვალა თავისი ტრადიციული პოლიტიკა—გაბატონებული კლასების დაცვა—და ეხლა სახელმწიფოს მატერიალურ ძალის ახმარებს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას? რითაა გამოწვეული სახელმწიფო ხარჯების შეუჩერებელი ზრდა?

ამ კითხვებზე საუკეთესო პასუხს ვაძლევს ციფრები, რომლებიც ეხებიან ევროპის სახელმწიფოთა სახმედრო ხარჯებს. გერმანიაში მიმდინარე წლის განსაკუთრებულ დახარჯულს ჯარზე 369,666,638 მანეთი. ამას კიდევ უნდა მივუმატოთ 15—20 მილიონი მანეთი ხარჯები, რომელიც გამოწვეულია აფიკრებისა და ჯარის კაცთა ჯამაგირების მომატებით. ავსტრო-უნგრეთს დაუხარჯავს 185,160,000 მანეთი, 15 მილიონი მეტი წინაღულ წელთან შედარებით; ინგლისს—289,500,000 მან, წინაღულზე ნახევარი მილიონით მეტი; იტალიას—117,900,000 მან.; საფრანგეთს—315,000,000 მან. სულ დახარჯულა თითქმის ერთი მილიარდი და 300 მილიონი მანეთი. და ეს მარტო სახმედრო უწყებათა სმეტით და მარტო ხმელეთის ჯარზე. აქ არ შედის, მაშასადამე, ფლოტის ხარჯები და სხვ. თუ ამავსაც დაემატებთ, მივიღებთ უზარმაზარ ჯამს, რომელიც ყოველ წელიწადს მილეთარბის სასმეგრპლოზე და მართლაც, ვინც ცოტათ დაეკვირდება დღევანდელ ბიუჯეტს, იგი ადვილათ შეამჩნევს სახმედრო ხარჯების განსაკვირვებელ ზრდას და კულტურულ მოთხოვნილებათა დამკავიფოების გვერდის ავ-

ლას. მთელი ფინანსური გაქირვება უმთავრესათ სახმედრო მოთხოვნილებათა გამოწვეული. ბურჟუაზიის მტაცებლური კოლონიალური პოლიტიკა მოითხოვს დიდ სახმედრო ძალას. ინდუსტრიალური განვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში აუცილებელს ხდის ახალი ბაზრების მოპოვებას, ხოლო ამ ნადავზე აუცილებელია მათ შორის სახმედრო შეტაკებები. და აი სახელმწიფოები ერთი მეორეს ეჯიბრებიან შეიარაღებაში და რომ ერთმანეთს არ ჩამორჩენ, ამისათვის არ ზოვავენ ხალხის ჯიბეს და ადამიანის სიცოცხლეს. გერმანია ახალ ჯავშნიან გემებს აშენებს—ეს გარემოება ინგლისში მთელ აურ-ზაურს იწვევს და პროექტი პროექტებზე დგება ფლოტის გაძლიერების შესახებ. საკმარისია სადმე ცოტათ დენი ცვლილება მოხდეს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოები საომარ ფეხზე დადგენ.

რადის მოვლება ბოლო ამ შეიარაღებულ ციებ ცხელებას? ეს არც ისე ადვილი გადასაქრელი საკითხია, როგორც ზოგიერთ პოლიტიკოსებს გონიათ. ეს საკითხი მქედრათ შეკავშირებულია მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილების ბედ-იბაღთან. სანამ ეს წყობილება არსებობს, მანამ მილიტარიზმის მსხვერპლი არა თუ იკლებს, არამედ—კიდევ უფრო გაიზრდება და მასთან ერთად გაიზრდება ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ხდება დღევანდელ მთავრობებს საჭირო ფულების უქონლობის სახით. ამ გარემოებთა შექმნის უზრუნველობას ვერ მოსპობს ძალა-უფლებით აღჭურვილი ბურჟუაზია, იმას გააქრობს მხოლოდ მომავალი შრომის საზოგადოება.

უკანასკნელი ფოსტა
ოსალათი.

რეაქციონური მოძრაობა. დიარბეკირის ვილაეტში (მცირე აზიაში) რეაქციონურმა მოძრაობამ იფეთქა. მოძრაობას მეთაურობს ყოფილი დეპუტატი და ქურთების ბელადები. რეაქციონერები სომხებს ეცემიან თავს და აწიოკებენ. ხალხი დიდ გაქირვებას და შიშს განიცდის. ოსმალეთის მთავრობამ რეაქციონერთა წინააღმდეგ საჭირო ზომები მიიღო.

ხალხი და მეფის გვარეულობა. ათინის მცხოვრებნი ძალიან მტრულათ უყურებენ მეფის გვარეულობის პრინციებს. ტახტის მემკვიდრემ, კონსტანტინემ, რომელიც ამ ეამთ ოჯახობით ფრანკუფერაში (მარნე) იმყოფება, უფრო განაცხადა ათინაში დაბრუნებაზე.

რუსეთი. **საინტენდანტო ჩექმები.** როგორც ვიცით, სენატორი გარინი ამ ეამთ ვარშაის საინტენდანტოების რევიზიის ახდენს. რევიზიის შიშით დაფრთხალ სა-

ინტენდანტოს, ორი დღის წინ, გარინის ჩასვლამდე კიევის საინტენდანტოს საქონლის საწყობში 50,000 ჩექმა გაუგზავნია. მთავრობას ჩექმები გაუხსნჯავს და სულ ყველა ჩექმა გამოიღო. ხაზინის ხარჯი 200,000 მანეთს უღრის. ეს ამბავი მანკრელის სტატუსს მამართლებს აცნობებს.

ქალის გაყრება. 6 ნოემბერს ვილონოში „პეტერბურგის“ სასტუმროში უცნობი ქალი მისულა 13 წლის ქალიშვილით. მეკარეს უკითხავს მოსვლის მიზეზი. ქალს საიდუმლოთ უთქვამს, რომ სასტუმროს გამგემ ერთი მდიდარი სტუმრისათვის პატროსანი ახალგაზდა ქალიშვილი შემიკვეთა და ას მანეთს დამპირდაო. ეს ამბავი პოლიციის ცნობა, რომელმაც უცნობი ქალი დააპატიმრა. დაპატიმრებული აღმოჩნდა ი. მარუშევიკის ქალი 28 წ., რომელმაც განაცხადა კერძო „გაკვეთილებით ვირჩენ თავსო. ქალიშვილი აღმოჩნდა მისივე ქალიშვილი, რომელსაც მაშუშევიკია გაზაზე შეხვედროდა და ადგილის მოცინა დაპირებით სასტუმროში შეეტყუებია.

დუმის გარშემო. სენატმა მიიღო გენერალ ტოლმაჩევისაგან დეპუტატ ბროდსკის არჩევის შესახებ მეორე რაპორტი და დაადგინა გამოცხადებულ იქნას რომ ქალაქ ოდესიდან დეპუტატთა არჩეული არონ ხაიმის ძე ბროდსკი.

— საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატ ბობინსკიმ სახმედრო მინისტრის ამხანაგ გენ. პოლივანოვს მიმართა და კიხა: ჯერ კიდევ წასრულ სისხლაში სახელმწიფო დუმამ სურვილი გამოსთქვა, რომ სახმედრო საოლქო სასამართლოების მოქმედება ნორმალურ ფარგლებში ჩაეყენებიათ, მიუხედავად ამისა სიკვდილით დასჯილთა რიცხვი მიინც იზრდება. გენ. პოლივანოვმა უპასუხა, რომ ბობინსკის მიერ წამოყენებული საკითხი მარტო სახმედრო უწყებას არ შეეხება, მას ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მთავრობა ახლო მომავალში ზომებს მიიღებს, რომ სიკვდილით დასასჯილთა რიცხვი შემცირებულ იქნას.

— ქალაქის საქმეების კომისიამ დაადგინა ქალაქის თვითმართებლობებს უფლებები მიანიჭოს საავადმდელო უქმედლეთ, იმ ადგილებში, სადაც სხვა სხვა სარწმუნოებათა წარმომადგენლები სცხოვრობენ, ეს დღე ჩარიცხონ, რომელსაც მცხოვრებთა უმრავლესობა დღესასწაულობს. კვირაში ასეთი დღე იქნება ერთი. ამ დღეს ვაქრობა აკრძალული იქნება.

— გრ. უფაროვმა თავისი სეკუნდანტების პირთ აცნობა გუჩკოს, რომ მან იმავე ადგილას (დუბნო) მოიხადოს უფაროვან ბოდიში, სადაც შეურაცხეთა მოაყენა. თუ გუჩკოვი ამას არ დათანხმდება, მაშინ უკაროვი ავსტრიაში იწავებს „დუელის“ ადგილს, ვინაიდან რუსეთში პოლიცია უკრძალავს.

ცავ, მოპირქუდი, შეიჯარ წარბნი, გრიგალო, მედვრათ დაიგრილო, ელვაე იელვე, მხო, გავარა, ქვეყანა ძველი გატილი!

ახალ ცხოვრების ტალღათა შორის, რომ სანეტარო ვიპოვო ჰანგი, გადავაქარგო გულ-მკერდზე სიგებს და ავაქედრო ხმა-ტკბილათ ჩანგი!

გ. რუხაძე.
ასე მოსთმავადა...
(გუძ. დ. თურ—ლს)
ვინიც რომ მიყვარდა, და ვისაც, ვრაცხდი მეგობრათ გულისო; იგი აღარ მყავს... აღმესპო შევბა, ტანჯულის სულისო! ქვეყნის სიგი მფენი თვალბი დასიჩქნეს, ამოსხარესო; გულს ლახვარი ჰქვს... ნათელ გულს... წამებით მიამკვდარესო! სტარფოს ღვთაებრივს უბადლოს, საფლავი გაუთხარესო; უკუბოთ... უქირისუფლოთ... შავ წილს მიბარესო! ჩამიქრეს ცეცხლი ნუგეშის; სიცოცხლე გამიშვარესო... წვედილში სურავს ქვეყანა, ელის მზეს, ელის მთავარსო! ასე მოსთქვამდა მეგონარი, ხელთა მპყობელი ქნარისა; და სევდის ნიავს არხევდა, მათი ხმა გლოვის ზარისა!

გ. ქუჩიშვილი.

რიგორი ვითარდება კაპიტალიზმი?
(ბ. მასლოვის).
რუსეთის ლიტერატურაში კაპიტალიზმის მომავალზე და მასთან ერთად ბურჟუაზიის სოციალ-პოლიტიკურ როლზე წასრულში, აწყობში და მომავალში ორი მოწინააღმდეგე აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმი რუსეთში არსებობს მხოლოდ მთავრობის წყალობით და მას არა აქვს მტკიცე ნიდავი რუსეთის ეკონომიურ წეს-წყობილებაში. ამ შეხედულებასთან ერთად რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიის შესაფერ ადგილს აკუთვნებენ: ბურჟუაზია—ისეთი კლასია, რომელიც არსებობდა და შეუძლია იარსებას მხოლოდ ბიუროკრატული მთავრობის შემწყობით და ხელის შეწყობით და ეს უკანასკნელი მხარს უჭერს რა კაპიტალიზმს მცხოვრებთა ექსპლოატაციას, ამით ხელოვნურათ ქმნის ბურჟუაზიის კლასს. ცხადია, რომ ასეთი შეხედულებით ბურჟუაზია, რომელიც ეყრდნობა მთავრობას, რეაქციონური კლასია; ის დარჩება სუსტ კლასათ იმიტომ, რომ გარეშე ძალთა დაუხმარებლობათ არამც თუ არ შეუძლია გამოჩენილიყო, მომავალშიაც მისი არსებობა წარმოუდგენელია. მარქსისტებს კი, პირიქით, აუცილებელია მიანიათ როგორც კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ისეთივე ახსნაურობაზე დაყრდნობილ ძველი პოლიტიკური წეს-წყობილებასა და ბურჟუაზიის შორის კონფლიქტის ჩამოვდება.

ამ ნაირათ, საკითხი კაპიტალიზმის მომავალზე და მის განვითარებაზე—ერთის მხრით და ბურჟუაზიის სოციალ-პოლიტიკურ როლზე—მეორეს მხრით, მქედრათ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული. პოლიტიკური ბატონობა რომელიც კლასისა პირდაპირ დამოკიდებულია მის სოციალურ ძალთა განწყობილებაზე. ცხადია, რომ კაპიტალიზმის განვითარებისათვის იქნება დამოკიდებული კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძალა კლასისა და სისუსტე გადაშენების გზაზე დამდგარ თავდაზნაურებისა, და ამიტომ დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების დაფხების დროს ჩვენ ხშირათ უნდა დავუბრუნდეთ: იმ საკითხს—თუ როგორ ვითარდება კაპიტალიზმი და როგორია მისი მომავალი რუსეთში?
I
როდესაც ჩვენ ვიკვლევთ კაპიტალიზმის აღორძინების საკითხს საშავლო საუკუნოებში ევროპაში და მის განვითარებას რუსეთში ვაჩნევთ, რომ თავის განვითარების პირველ ხანებში კაპიტალი უმთავრესათ ხელთ იგდებს ცვლას, ვაქრობა წარმოებას კი სტრუქტურს დამოკიდებულ და ნახევრათ დამოკიდებულ წერტილ-მწარმოებელთა ხელში.

წარმოების კაპიტალიზაციის პროცესი ხდება ამ გვარათ: წერილი ხელოსნები თავდაპირველათ მუშაობენ პარდაპირ მომხმარებლისათვის, ან შეკვეთით და ან კიდევ მახლაველ ბაზრისათვის. წერილი წარმოებელთა რიცხვის გამრავლება იწვევს უფრო შორეულ ბაზრის მოპოვების საჭიროებას, რათა თავიანთი ნაწარმოები გასაღონ; ჰაერამ აქ წერილ-მწარმოებლებს არ შეუძლიათ თითო გასაწალის თავისი ნაწარმოები და ამიტომ ის იძულებულია მიმართოს შუამავალს, „სკუპშიჩსკის“. ჩამდენათაც ფართოა ბაზარი, რომლის დასაკავიფოლებლათ მუშაობს წერილი მწარმოებელი, მით უფრო დამოკიდებული ხდება ის ვაქრისაგან რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია გაყიდოს იმისი ნაწარმოები. რამდენათაც დიდდება მანძილი, შინა მწარმოებელ და მომხმარებელ შუა, მით უფრო ცოტას დებულობს მწარმოებელი, მით უფრო დიდია მისი ეკონომიური დამოკიდებულება კაპიტალისაგან, რომელიც აწვდის მას მასალებს და „ხაკაშებს“. და ამ რიგათ ის თანდათან უბრალო მუშათ ხდება. დამოკიდებულები მწარმოებლის ამ გვარი თანდათანობით გარდაქმნას მქედრო კაპიტალი აქვს ამა თუ იმ მრეწველობის დარგის განვითარებასთან არც წარმოებას ფარმაში და არც ტენიკაში არავითარი ცვლილება არ ხდება და ერთის შეხედვით, წერილი მრეწველებს, რომელიც მუშაობს მხმარებლისათვის და იმ მუშა—შინა მრეწველს

გ. მალაქაშვილი.
ჰანგსა დავეძებ ტუბილ სანეტაროს
დამატკობგელს ტანჯულ სულისა,
მაგრამ, ვაიმე, ვერ ვნახე იგი,
მომნიქებელი სიხარულისა!
სითაც ვაგვებ—ყველაგან ტრემლები,
ვაი-ვაგლახი, მოთქმა, გოდება...
ნუ თუ კეჟმანს, სულის შემეზუფელს,
ბოლო არას დროს არ მოვლდება!

„შეშარიტი რუსი“. პსკოვი, პერმის სობორიში ერთმა მოლოცველმა „შეშარიტი რუსი“ მღვდელის სილა გააქწინა, ვინაიდან მას დედულმა ნება არ დართა ამბონიდან წარმოეთქვა ებრაელების საწინააღმდეგო სიტყვა.

საზღვარ-პარტი
მინისტრები დამნაშავეთა სკამზე. დანიის რამდენიმე მინისტრი დებუტატთა პალატამ სასამართლოს წესით პასუხის გებაში მისცა. მინისტრებს ბრალდებათ დიდი ძალი ფული და სახელმწიფო ქონებათა გაფლანგვა. პასუხისგებაში მიცემული არიან შემდეგი მინისტრები: ალბერტი, ხრისტანსენი, სიგურდა. ბერგი გამოძიებისათვის დანიშნულია განსაკუთრებული კომისია.

თანსუფალი უნივერსიტეტი. ბრიუსელის უნივერსიტეტი თავისი არსებობის 75 წლის იუბილეს დღესასწაულად. ეს ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც ბელგიის მთავრობის კულტურალურა ზედგავლენისაგან თავისუფალია.

ანგლისის ბიუჯეტი. ლორდათა პალატაში ლორდმა როზბერიმ ის აზრი გამოთქვა, რომ საქირთა ბიუჯეტის მიღება. ბიუჯეტის მიუღებლობა, ორატორის სიტყვით, ქვედა პალატის უდროოდ დათხოვის გამოიწვევს. ეს გარემოება კი სახელმწიფოს 6 თვის განმავლობაში დიდ განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არქივისკომისია 24 ებსკომისის სახელით განაცხადა, რომ საბიუჯეტო კითხვის კენჭის ყრის დროს ისინი თავს შეიკავებენ. ვინაიდან ლორდ ლანსდოუნის რეზოლუციას პარტიული ხასიათი აქვს, მოვლიან, რომ ბევრი ლორდიც კენჭის ყრის დროს თავს შეიკავებს.

ელვარდ გრის სიტყვა. გარეშე საქმეთა მინისტრმა, სერ ელვარდ გრემი უილტშირში გამართულ კრებაზე შემდეგი სიტყვა: ზემო პალატის წყალობით ინგლისის რევოლუციის მოლოდინშია, კონსერვატორები კი ცუდი კარტის მოთამაშეები იქცევიან. მინისტრი იმ აზრისაა, რომ მთავრობამ ყოველი დონის ძიება უნდა იხმაროს ბიუჯეტის დასამტკიცებლათ.

ავიერთა მოწამლევა. რა მიზეზით არის გამოწვეული ავტორის ავიერთა მოწამლევა, რომლის შესახებაც წინა ნომერში ვსწვრიდით, მთავრობამ ჯერაც ვერ გამოარკვია. სამხედრო მინისტრმა 2,000 მანეთი აღუთქვა საჩუქრათ იმ პირს, ვინც დამნაშავეებს აღმოაჩენს და საქმის ვითარებას გამოარკვევს.

დემონსტრაცია ლორდათა პალატის წინააღმდეგ. 13 ნოემბერს საღამოს ლონდონში პარლამენტის სკვერში თავი მოიყარა 10,000 კაცმა, გაბარათეს დემონსტრაცია. გაისმოდა პროტესტის ხმა ლორდებისადმი მიმართულად, რომლებმაც გაილაშქრეს ბიუჯეტზე.

რეისტრაციის მშვეთვარე ხსენება. 13 ნოემბერს ვენის პარლამენტში მოხდა ისეთი სენა, რომლის მავარიც კარ-

გა ხანია არ ყოფილა საქმე კინაღამ მუშატი კრივით გათავდა.

კათედრაზე ავიდა ცნობილი დებუტატი სტრანსკი, რომელიც დამუქრა სლავიანებს, მან სხვათა შორის განაცხადა. სლავიანები ვენაში მოსათმენი არიან მხოლოდ როგორც სტუმრები.

ჩვეულ დებუტატების სკამებზე ერთი ორომ-ტრაილი შეიქნა. ჩველები მივარდნენ ნემეც დებუტატებს და მოუდლომეს მათ ხელით ცემა. ცემა-ტყევა შეაჩერეს სხვა დებუტატებმა. სტრანსკი აგრძელებს თავის სიტყვას და ახლა უდერთა ეგება ჩვეულ სოციალდემოკრატებს.

— თქვენ „კულები“ ხართ ნაციონალისტების. კიდევ ვისმის პროტესტის და აღშფოთების ხმა. ნემეცების საქციელს მოთმინებიდან გამოყავს პოლიაქცი-ბიცი-კი, მათი სახელით გლომბინსკი იმუქრება გავიდნ პოლონურ კოლონიაგან. ამ განცხადებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნემეც დებუტატებზე.

საქართველო

მიკროსკოპიული სადგური. ქალაქის საყსახოსთან დაარსდა მიკროსკოპიული სადგური. საღდათის ბაზარშიაც დაარსდა ამ სადგურის განყოფილება, რომელიც არკვევს ღორის ავიდყოფობა ტრიხინას. ჯერ ჯერობით ორი მაგალითი აღმოუჩნდათ ღორების ავთმყოფობის ტრიხინისა.

ავღაბრის გიმნაზიის ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სასწავლებლის ეზოში მან დეკორატიულ მცენარეების მოშენება განიზარხა და თხოვს შეატყობინოს, ექნება ქალაქის გამგეობას რაიმე ამის საწინააღმდეგო თუ არა.

საქონლის მოშენებელ და მერძეობის სექციის სხდომა მოხდა 17 ნოემბერს, საღამოს. თავმჯდომარეობდა ა. ქალანთარი. სხდომაზე მოისმინეს რამდენიმე მოხსენება მერძეობისა და საქონლის მოშენების შესახებ და დადგინეს: 1) საქირთა გაისხნას სხვადასხვა ადგილებში ყველის დამზადებელი ქარხნები და მით ხელი შეუწუონ რძისა და ყველის ფასის აწევას. 2) დაარსდეს სხვადასხვა ადგილებში მერძეობის სკოლები. 3) დაარსდეს საქონლის მოშენებელი ინსპექციები და სხვა.

სომხეთი დრამატიული საზოგადოება მოლაპარაკებას გამართავს ქართულ დრამატიულ საზოგადოებასთან იმის შესახებ, რომ საერთო კომისია იარჩიონ არტიტ ქალის მელიქიანის იუბილეში მონაწილეობის მისაღებათ.

აგრონომ ა. ქალანთარის იუბილე დანიშნულია 21 ნოემბერს. სომხის საქველმოქმედო საზოგადოებამ კომისია აირჩია, რომელიც იუბილეობის საპატიო აღრეს მიართმევს. იუბილეში მო-

ცულელათ. მხოლოდ, თითქოს მანუფაქტურული და სხვა უფრო მსხვილი წარმოება იყო კაპიტალის ხელში, დანარჩენი დარგი წარმოებისაკი დამოუკიდებელი იყო მისგან. უმეტესი ნაწილი მრეწველობისა დასავლეთ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნემდის კიდევ არ იყო მოწესრიგებული და გარდაქმნილი მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებათ, თუმცა ყველა ეს იყო სავაჭრო კაპიტალის ხელში. კაპიტალიზმის განვითარების ეს საფეხური და მისი ეკონომიური ბატონობა ამ დროს შეუმჩნეველია, დაფარულია. წერტილი შინა მრეწველება, რომელთაც ზოგჯერ დაქირავებული მუშებრიც ჰყავთ, ერთი შეხედვით, გამოდიან თავისუფალნი სრულიად დამოუკიდებელ მწარმოებლებათ; მაგრამ შორეულ ბაზრისაგან დამოკიდებულება, რომლისათვის ისინი აწარმოებენ დამოკიდებულათ ხდის შინა მრეწველს ვაჭრისაგან, რომელიც ამ შეიშენვევაში მწარმოებლის და ბაზრის შუაშუამავალია გამოდის. ხელოსნების ცდამ, რომ თავი გაენთავისუფლებით საშავლო საუკუნეებში ვაჭრული კაპიტალის ტრანქი ხელისაგან, ამით ჩაიარა, ისინი კანონმდებლობასაკი მიმართავდნენ კაპიტალმა შემუსრა ხელოსნობა. დამოკიდებულების თითქმის ყველა დარგი, რომელიც აწარმოებდა არა მხოლოდ ბაზრისათვის, სრულიად დამოკიდებული აღმოჩნდა კაპიტალისაგან.

რუსეთში შინა მრეწველური წარმოებდ ხელოსნობა სრულიად არ ფიქრობს

